ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - ია გაბედავა

კოლეგიის წევრი - არჩილ ჩოფიკაშვილი

კოლეგიის წევრი - ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორი: ზ. კ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ქ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.03. 2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №023/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ რ. რ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 07 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ზ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ. რ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ქ. მ.-მა 2018 წლის 30 აპრილს წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის ქ. მ.-ს განმარტებით, მისი შვილის - ზ. კ.-ის საქმის თაობაზე სჭირდებოდა იურიდიული დახმარება, რისთვისაც მიმართა თავის მეგობარს მ. ა.-ს და მისი მეშვეობით გაიცნო ადვოკატი რ. რ..

1.3 ქ. მ.-ს განცხადებით, 2018 წლის 18 იანვარს ის შეხვდა ადვოკატ რ. რ.-ს და სთხოვა შრომით ხელშეკრულებაში აღნიშნული მუხლების განმარტება. იმავე დღეს, ქ. მ. ადვოკატ რ. რ.-ს შეხვდა თავის შვილთან ერთად და უთხრა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მისთვის გაეწია იურიდიული

კონსულტაცია და წარმოედგინა მისი ინტერესები სასამართლოში. ქ. მ.-ს განცხადებით, ამავე საღამოს, 2018 წლის 18 იანვარს ადვოკატმა უსაფუძვლოდ და სასწრაფოდ წინასწარ მოსთხოვა მას ჰონორარის სახით 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის გადახდა, რომელიც გადასცა ქ. მ.-მა ადვოკატს, რადგანაც ენდობოდა მას, როგორც მისი მეგობრის ადვოკატს.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატისათვის თანხის გადაცემიდან მესამე დღეს ის დაუკავშირდა ადვოკატს და უთხრა, რომ მას და მის შვილს აღარ სჭირდებოდათ იურიდიული მომსახურება. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2018 წლის 22 იანვრის შემდგომ ის ურეკავდა ადვოკატ რ. რ.-ს, რომელიც პირდებოდა, რომ თანხას დაუბრუნებდა, შემდგომ სატელეფონო ზარებსაც არ პასუხობდა.

1.5 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მიერ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტების მიხედვით, ის ადვოკატ რ. რ.-ს პირველად შეხვდა 2018 წლის 17 იანვარს და ჰკითხა, მის შვილს რა უფლებები ექნებოდა სამსახურიდან წამოსვლის შემთხვევაში, აღნიშნული შეხვედრა 20 წუთის განმავლობაში გაგრძელდა. ქ. მ.-ს განცხადებით, ადვოკატს წინასწარ უნდა ეთქვა, თუ მისი 1 საათის კონსულტაცია 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი ღირდა.

1.6 ადვოკატმა რ. რ.-მ ქ. მ.-ს განუცხადა, რომ მოცემულ საქმეზე სარჩელის შედგენისთვის უნდა გადაეცა 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი, თუმცა პირველი ეტაპისათვის წინასწარ 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი, რის თაობაზეც ქ. მ.-მა განუცხადა, რომ ჯერ სასამართლო დავის დაწყების საფუძველი არ არსებობდა. ადვოკატმა საჩივრის ავტორს გადასცა მინდობილობის გაფორმებისათვის მისი მონაცემები, თუმცა მას მინდობილობა არ გაუფორმებია.

1.7 ქ. მ.-ს განცხადებით, ზ. კ.-ს დაუკავშირდა ადვოკატი რ. რ. და მოსთხოვა მეორე დღეს გადაეცა მისთვის ჰონორარის სახით - 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი, რადგან სარჩელის შედგენა უნდა დაეწყო. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ადვოკატმა მას განუცხადა, რომ თუ ჰონორარს არ გადაიხდიდნენ - ჯარიმის გადახდა მოუწევდათ, რის შემდეგაც 2018 წლის 18 იანვარს ადვოკატმა ზ. კ.-სგან მოტყუებით მიიღო ჰონორარის სახით - 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი.

1.8 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, 2018 წლის 19 იანვარს დაურეკა ზ. კ.-მ ადვოკატს და უთხრა, რომ უნდა დაფიქრებულიყო სურდა თუ არა საქმის წარმოების დაწყება, მაგრამ ადვოკატმა უთხრა, რომ მან დაიწყო სარჩელზე მუშაობა და მეილზე გადმოგზავნიდა. ქ. მ. დაუკავშირდა ადვოკატს და უთხრა, რომ მას არაფერი ჰქონდა გაკეთებული და თანხის დაბრუნება მოსთხოვა, თუმცა მან თანხა არ დააბრუნა და აღარც სატელეფონო ზარებს პასუხობდა. ქ. მ.-ს განცხადებით, მას თავდაპირველად არ უკითხავს ადვოკატისთვის მის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაცია ფასიანი იყო თუ არა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა რ. რ.-მ 2018 წლის 28 მარტს წარმოადგინა წერილობითი ახსნა- განმარტება, რომლის მიხედვით, ის 2018 წლის 18 იანვარს შეხვდა ქ. მ.-ს და მასთან საუბრისას, გაირკვა, რომ იურიდიული კონსულტაცია სჭირდებოდა მის შვილს - ზ. კ.-ს. ადვოკატის განცხადებით, იმავე დღეს ღამის 10 საათზე, ქ. მ.-ს თხოვნით ის შეხვდა მას და მის შვილს ზ. კ.-ს. ადვოკატმა მათ განუმარტა, რომ საქმის წარმოებისთვის, მათ შორის სასამართლოში წარმომადგენლობის ჰონორარი 700 (შვიდას) ლარს შეადგენდა, სასარჩელო მოთხოვნის დამუშავება 350 (სამას

ორმოცდაათ) ლარს. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულ შეხვედრაზეც მან საჩივრის ავტორს გაუწია იურიდიული კონსულტაცია.

2.2 ადვოკატს მეორე დღეს დაუკავშირდა ზ. კ. და უთხრა, რომ საქმისწარმოების დაწყებისთვის დამატებითი დრო სჭირდებოდა რომ დაფიქრებულიყო, რაზეც ადვოკატმა განუცხადა, რომ ორჯერ მის მიერ გაწეული კონსულტაცია და დამატებით სასარჩელო მოთხოვნის წინასწარ დამუშავება შეადგენდა ჰონორარის სახით 200 (ორას) ლარს. მოგვიანებით, ადვოკატს კვლავ დაუკავშირდა ზ. კ. და განაცხადა თანხმობა, რომ გადაეხადა 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი და სურდა დაეწყო სასარჩელო წარმოება სასამართლოში. ზ. კ.-მ ადვოკატს პირადად გადასცა თანხა - 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი.

2.3 ადვოკატმა რ. რ.-მ ზ. კ.-ს განუმარტა, რომ მის საქმესთან დაკავშირებით შეეძლო დამუშავებული სასარჩელო მოთხოვნა გადაეგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, თუმცა აღნიშნულზე მან უარი განაცხადა. 4 დღის გასვლის შემდეგ, ადვოკატს დაუკავშირდა ქ. მ. და უთხრა, რომ მან „ბავშვი დაუშანტაჟა“ და მოითხოვა სასწრაფოდ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ მან კონსულტაციისათვის და სასარჩელო მოთხოვნის წინასწარ დამუშავებისათვის მიიღო ჰონორარი.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ერთ-ერთ მარწმუნებელს - მ. ა.-ს მისივე თხოვნით შეხვდა, თუმცა მას მოაკითხეს ავტომანქანით ადვოკატისთვის უცნობმა პირებმა, რომლებიც ადვოკატისგან ითხოვნდნენ გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნებას. ადვოკატის განცხადებით, მ. ა. და აგრეთვე, ქ. მ. ზეწოლას ახდენდნენ მის მშობლებზეც, რომ გადახდილი თანხა უკან დაებრუნებინა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ის ადასტურებს იმ გარემოებას, რომ არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, რადგან ამის ორი მიზეზი ჰქონდა: შეურაცხყოფა - ასევე, მ. ა.-ს ახლობლის სავარაუდოდ, შსს-ს თანამშრომლის ზარები დაფარული და უცხო ნომრებიდან, რომელიც ითხოვდა ე.წ. „გადაკვეთას“ - შეხვედრას მასთან.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი რ. რ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №..../, სპეციალიზაცია – სამოქალაქო სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველო სადვოკატთა ასოციაციიდან.“

3.2 ზ. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 07 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წლის იანვრის თვეში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არაფერი გააკეთა საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით, თუმცა ჰონორარის სახით მიიღო 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი, რომელიც საჩივრის ავტორს არ დაუბრუნა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ რ. რ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

5.3 ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

5.4 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება ვრცელდება, როგორც კლიენტის მიერ, ასევე ადვოკატის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებზე. ეთიკის კომისიამ 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №038/16 ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული

მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას".

5.5 განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის წარმომადგენელი წერილობით ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ 2018 წლის 18 იანვარს ის თავად შეხვდა ადვოკატ ზ. კ.-ს იმ მიზნით, რომ მისგან მიეღო თავისი შვილის - ზ. კ.-ის შრომითი ხელშერკრულების თაობაზე იურიდიული კონსულტაცია. ქ. მ. თავის პოზიციაში უთითებს, რომ ადვოკატმა უსაფუძვლოდ და სასწრაფოდ მოითხოვა გადაეცა მისთვის 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი ჰონორარის სახით წინასწარ, როდესაც საქმის წარმოება არ ჰქონდა დაწყებული და ვინაიდან ის იყო მისი მეგობრის ადვოკატი ენდო მას და გადასცა აღნიშნული თანხა. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტების მიხედვით, ქ. მ. აღნიშნავს, რომ თანხა არა მან, არამედ მისმა შვილმა გადასცა ადვოკატს, რომელმაც მოატყუა ისინი და ეუბნებოდა მათ, რომ თუ თანხას არ გადასცემდნენ ჯარიმის გადახდა მოუწევდათ. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის პოზიციიდან ირკვევა, რომ მასსა და საჩივრის ავტორს ადვოკატთან ჰქონდათ შეხვედრები იურიდიული კონსულტაციის მიღების მიზნით, თუმცა ჰონორარის გადაცემიდან მეორე დღეს ზ. კ. დაუკავშირდა ადვოკატს და უთხრა, რომ სურდა თუ არა საქმის დაწყება - ამის თაობაზე უნდა დაფიქრებულიყო. ადვოკატი თავის პოზიციაში უთითებს, რომ მან 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი გაწეულ იუირიდიულ კონსულტაციაში და სასარჩელო მოთხოვნის დამუშავებისთვის მიიღო, სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელებისთვის საჩივრის ავტორს 700 (შვიდასი) ლარი უნდა გადაეხადა. საჩივარში აღნიშნული პრეტენზიის მიხედვით ადვოკატს გადახდილი ჰონორარის ფარგლებში საქმის თაობაზე არაფერი გაუკეთებია, თუმცა გადაცემული თანხა არ დაუბრუნებია.

5.6 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საკმარისი ვარაუდი იმის დასადასტურებლად რომ საჩივრის ავტორმა ადვოკატს მოტყუებით და თავისი ნების საწინააღმდეგოდ გადასცა ჰონორარი. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პოზიციები ურთიერთსაწინააღმდეგოა. კერძოდ, საჩივარში ქ. მ. უთითებს, რომ მან გადასცა ჰონორარი ადვოკატს, რადგან ენდო მას, თუმცა მის მიერ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციით, ჰონორარი ადვოკატმა მოტყუების გზით მიიღო. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატმა არაფერი გააკეთა საჩივრის ავტორის საქმის თაობაზე, მითუმეტეს, რომ საჩივრის ავტორის წარმომადგენელი თავად ადასტურებს ადვოკატის მიერ იურიდიული

კონსულტაციის მიღების ფაქტს და აღნიშნავს, რომ მას და ზ. კ.-ს ადვოკატისთვის არ უკითხავთ უფასო იყო თუ არა იურიდიული კონსულტაციის გაწევა. განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საკმარისი ვარაუდი იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორთან - ზ. კ.-სთან შეთანხმების გარეშე, მოტყუებით მიიღო ჰონორარის სახით თანხა, რომლის ფარგლებშიც მას არ გაუწია იურიდიული კონსულტაცია.

5.7 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოცემულ დისციპლინურ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე არ დგინდება ადვოკატ ზ. კ.-ის მიერ ეთიკური ვალდებულებების სავარაუდო დარღვევა და არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის თაობაზე და რ. რ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" პუნქტით, 32-ე, 33-ე მუხლებით, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-8 მუხლის მე-5 და მე-15 ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №023/18 ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ /სიითი №.... / არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/